ევგენი მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე

ახალგაზრდა შემსრულებელთა IV საერთაშორისო კონკურსი

კონკურსის დამფუძნებლები:

ევგენი მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი

და

ასოციაცია „ლირა“

კონკურსი ტარდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

კონკურსის დირექციის მისამართი

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. #54

ტელ : 2 22 19 47
მობ : 574 144 884
ელ. ფოსტა: musikis-hangebi@mail.ru

კონკურსის ჩატარების პირობები

- ✓ ევგენი მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა შემსრულებელთა IV საერთაშორისო კონკურსი ტარდება 2 წელიწადში ერთხელ, საორკესტრო საკრავების-სიმებიანი და ჩასაბერი სპეციალობების მიხედვით.

- ✓ კონკურსი ტარდება 2 ტურად.

- ✓ არსებული მდგომარეობის გამო, წელს, ევგენი მიქელაძის სახელობის საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა შემსრულებელთა IV საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება ქ. თბილისში 20.05.-25.05. 2021წ. ონლაინ რეჟიმში.

- ✓ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდა მუსიკოსს ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად.

სიმებიანი საკრავები

I კატეგორია - 7-10 წელი
II კატეგორია - 11- 14 წელი
III კატეგორია -15-18 წელი

ჩასაბერი საკრავები

I კატეგორია - 10-13 წელი
II კატეგორია - 14 - 18 წელი

კონკურსის ჩატარების პირობები:

- პროგრამები სრულდება ზეპირად;
- ნაწარმოებების შესრულების ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს მითითებულ ქრონომეტრაჟს;
- კონკურსის სამივე საპრიზო ადგილის მფლობელს მიენიჭება ლაურეატის წოდება და გადაეცემათ დიპლომები და ფულადი პრემიები.
- სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების კატეგორიებში გამოვლენილი საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელი დაჯილდოვდება სპეციალური პრიზით და ფულადი პრემიით.
- ფინალში მონაწილე ყველა შემსრულებელი დაჯილდოვდება დიპლომით.

ჟ ი უ რ ი

- კონკურსის ჟიურის უფლება აქვს არ გასცეს ყველა პრემია, გაყოს პრემიები.
- ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გადახედვას არ ექვემდებარება.
- ჟიურის წევრებს უფლება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავისი მოსწავლის შეფასებაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელია წარმოადგინოთ:

1.კონკურსანტის შევსებული განაცხადი (განაცხადის ფორმა იხილეთ დებულების ბოლოში);
2.საკონკურსო თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
3.დაბადების მოწმობის ასლი;
4.You-tube ზე ატვირთული კონკურსანტის პროგრამის ჩანაწერის ლინკი;
5.კონკურსანტს შეუძლია გამოგზავნოს სახლის პირობებში გადაღებული ჩანაწერი;
6.ჩანაწერი აუცილებლად უნდა იყოს მთლიანი ;
7.ჩანაწერში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ინსტრუმენტი, კონკურსანტის ხელები და სახე;
8.განაცხადები მიიღება 2021 წლის 31 აპრილამდე;
9.ყველა დოკუმენტი და You-tube ზე ატვირთული კონკურსანტის პროგრამის ჩანაწერის ლინკი უნდა გამოაგზავნოთ E-mail –ზე musikis-hangebi@mail.ru
10.კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება განაცხადების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღეში, საიტზე - mikeladzecms.ge

პ რ ო გ რ ა მ ა

სიმებიანი საკრავები
ვიოლინო

I კატეგორია (7-10 წელი)

I ტური (5-8 წუთი)

1. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა (ნელი, ჩქარი).

II ტური (5-8 წუთი)

1. სავიოლინო კონცერტის I ან II-III ნაწ.
2. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

II კატეგორია (11-14 წელი)

I ტური (12-15 წუთი)

1. ორი ნაწილი (ნელი, ჩქარი) ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორის სონატიდან (ჰენდელი, ტარტინი, ვივალდი).
2. ერთი ვირტუოზული ნაწარმოები.

II ტური (12-20 წუთი)

1. სავიოლინო კონცერტის I ნაწ. კადენციით ან II-III ნაწ.
2. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

III კატეგორია (15-18 წელი)

I ტური (12-17 წუთი)

1. ორი ნაწილი (ნელი, ჩქარი) ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორის სონატიდან ან პარტიტიდან.
2. ვირტუოზული ეტიუდი ან კაპრისი

II ტური (18-25 წუთი)

1. სავიოლინო კონცერტის I ნაწ. კადენციით ან II-III ნაწ.
2. საკონცერტო ვირტუოზული ხასიათის ნაწარმოები.
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

ვიოლონჩელო

I კატეგორია (7-10 წელი)

I ტური (5-8 წუთი)

1. ორი განსხვავებული ხასიათის პიესა (ნელი, ჩქარი).

II ტური (5- 8 წუთი)

2. სავიოლონჩელო სონატის ან კონცერტის სონატური ალეგრო.
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

II კატეგორია (11-14 წელი)

I ტური (10-12 წუთი)

1. ნებისმიერი ნაწილი ბახის პირველი სუიტიდან ჩელოსათვის სოლო.
2. ერთი ვირტუოზული ნაწარმოები.

II ტური (10-12 წუთი)

1. სავიოლონჩელო კონცერტის I ნაწ. კადენციით ან II-III ნაწ.
2. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

III კატეგორია (15-18 წელი)

I ტური (10-15 წუთი)

1. ორი ნაწილი (ნელი, ჩქარი) ბახის პირველი ან მეორე სუიტიდან ჩელოსათვის სოლო.
2. პიატის ან პოპერის ეტიუდი ან კაპრისი.

II ტური (12-19 წუთი)

1. სავიოლონჩელო კონცერტის I ნაწ. კადენციით ან II-III ნაწ.
2. ერთი ვირტუოზული ნაწარმოები.
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

ჩასაბერი საკრავები

I კატეგორია (10-13 წელი)

I ტური (5-8 წუთი)

1. ორი განსხვავებული ხასიათის ნაწარმოები

II ტური (5-8 წუთი)

2. ერთი საკონცერტო ხასიათის ნაწარმოები (ერთი ნაწარმოები შეიძლება გამეორდეს I ტურიდან).
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

II კატეგორია (14 -18 წელი)

I ტური (8-10 წუთი)

1. ორი განსხვავებული ხასიათის ნაწარმოები (აქედან ერთი კლასიკური პერიოდის).

II ტური (10-12 წუთი)

2. ერთი საკონცერტო ხასიათის ნაწარმოები ან კონცერტის I ნაწ.
3. ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვართეთ:

ტელ. 574 14 48 84

0322 22 07 85

E-mail: musikis-hangebi@mail.ru